დინამოელები განაგრძობენ ბრძოლას

თბილისი. "ბურევესტნიკის" სტადიონი. 19 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (ქუთაისი) 4:3 (2:1).

"ტორპედო": მერაბიშვილი, ოდიკაძე, სიამაშვილი (ლოსაბერიძე), ცხოვრებოვი, სარჯველაძე, მუმლაძე, სირაძე, ლეჟავა, ჟორდანია, გომელაური, ზარდანია.

"დინამო": ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ხელაძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი (ფიფია).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ქუთაისის ტორპედოელებს კონკრეტული ამოცანა აქვთ წელს: მათ უნდა განიმტკიცონ პოზიციები "ა" კლასის საკავშირო ჩემპიონატში. ამიტომ გუნდს უფლება აქვს ნაკლები ყურადღება მიაქციოს თასის გათამაშებას. რაც შეეხება დინამოელებს, მათ თანაბარი სერიოზულობით უნდა ითამაშონ ორივე ფრონტზე – ჩემპიონატში და თასზეც. ამიტომ განვლილი მატჩი მათთვის გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო.

მიუხედავად ამისა, შეტევა ქუთაისელებმა წამოიწყეს და ანგარიშიც გახსნეს: ლეჟავამ ცენტრში მიიღო მუმლაძის კარგი გადაცემა, გავიდა წინ და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში, რომელსაც მისი დინამოელი თანამოგვარე იცავდა – 1:0. 3 წუთის შემდეგ ანალოგიური კომბინაცია გათამაშდა "ტორპედოს" კართან, ბარქაიამ გარღვევაზე გაიყვანა გ. სიჭინავა და ანგარიშიც გათანაბრდა – 1:1. ამის შემდეგ კარგა ხანს ბრძოლა შუა მინდორში მიმდინარეობდა და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს დინამოელებმა წინ გასვლა. ბურთი გაიტანა ბარქაიამ – 2:1.

შესვენების შემდეგ კვლავ ბარქაიამ მესამე ბურთი გაიტანა და თბილისელთა გამარჯვებაც თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მათს დაცვაში ზედიზედ იქნა დაშვებული შეცდომები, რაც სწრაფად გამოიყენეს ჯერ ლეჟავამ, რომელმაც შესანიშნავი დარტყმით გაქვითა მეორე გოლი, ხოლო შემდეგ სირაძემ და ანგარიშიც გათანაბრდა – 3:3.

34-ე წუთზე "დინამოს" თავდამსხმელები გარღვევაზე გავიდნენ, ბარქაიამ და კალოევმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და ამ უკანასკნელმა გაიტანა მეოთხე გოლი, რომელმაც მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა – 4:3.

შეხვედრის დამთავრებამდე მოხდა იშვიათი ამბავი საფეხბურთო პრაქტიკაში: მსაჯმა ნ. კრილოვმა შეცდომით 4 წუთით ადრე დაამთავრა თამაში და გუნდები გაიყვანა მინდვრიდან. მაგრამ მან აქვე გამოასწორა თავისი ლაფსუსი, კვლავ დააბრუნა მოწინააღმდეგეები და შეასრულა მატჩისათვის საჭირო დრო – 90 წუთი.

"ლელო", 20 ივნისი 1962 წ.